

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ანასტასია დუმბაძე

თარგმანის ლინგვოკულტურული პრობლემები და მათი დაძლევის ხერხები
(რუსული, უკრაინული და ქართული ენების მაგალითზე)

სადოქტორო პროგრამა „ლინგვისტიკა“ (თარგმანმცოდნეობა)

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ნ თ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო აროშიძე
ფილოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი

ბათუმი

2021

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ევროპეისტიკის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნინო არომიძე - ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

შემფასებლები:

დავით გოცირიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივანე
ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი;

ქეთევან სვანიძე - ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ნათელა ფარტენაძე - ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

უცხოელი ექსპერტი:

ირინა კობიაკოვა - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სუმის სახელობის
უნივერსიტეტის პროფესორი (უკრაინა).

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება **2021 წლის 19 მარტს, პარასკევს, 17:00**
საათზე, 37-ე აუდიტორიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს
მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, ხოლო
სადისერტაციო ნაშრომის ანოტაციისა - ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე
(www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნ. ფარტენაძე

შესავალი

არსებული ლინგვისტური ანთროპოცენტრული პარადიგმის ფარგლებში ჩატარებული თანამედროვე კვლევები ავლენენ სამეცნიერო სამყაროს განსაკუთრებულ ინტერესს ლინგვოკულტურული ცნებების მიმართ. ლინგვოკულტურული კვლევათა დიაპაზონი მოიცავს ადამიანის აზროვნებისა და ცნობიერების გამოხატვის ორი ფორმის - ენისა და კულტურის - ურთიერთკავშირების, ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთგავლენის პროცესებს.

ამ ტიპის კვლევის ვექტორი მიზნად ისახავს ენის, როგორც სოციალური ფენომენის შესწავლას. ენა კონკრეტულ საზოგადოებაში არსებობს, იცვლება და ვითარდება. თავის მხრივ, ნებისმიერი ერი არსებობს საკუთარი კულტურის გარსში. ერის კულტურა ვლინდება როგორც არავერბალურ, ისე ვერბალურ დონეზე. კულტურული ნორმების, ტრადიციებისა და ჩვეულებების, ცხოვრების საფუძვლების, შეხედულებების გავლენა, საზოგადოების შეხედულება სამყაროზე განსაკუთრებით ნათლად ვლინდება ენაში, კერძოდ, მრავალდონიან, მრავალმხრივ ცნებებში - კონცეპტებში.

ლინგვოკულტურულ კონცეპტებს შეისწავლის ისეთი მეცნიერული დარგები, როგორებიცაა კოგნიტური ლინგვისტიკა, კულტუროლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია, ეთნოფსიქოლოგია და სხვა. ეს მიუთითებს კონცეპტის მიმართ სამეცნიერო ინტერესის ამდღეობაზე და, ამავე დროს, განსაზღვრავს მის მრავალფეროვნებასა და მოცულობას.

თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიურად განვითარებადი მიმართულებაა კონცეპტების ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტურული კვლევები. ამგვარი კვლევების ამოცანათა შორის უნდა აღინიშნოს ენობრივი საშუალებების შემადგენლობის ყველაზე სრულყოფილი იდენტიფიკაცია, რომელიც წარმოადგენს შესწავლილ კონცეპტს; მისი შინაარსის მოდელირება, როგორც ეროვნული თავისებურების მატარებელი გლობალური მენტალური/გონებრივი ერთეულის, და მისი ადგილის განსაზღვრა ეროვნულ კონცეპტუალურ ბაზაში (კარასიკ, სტერნინი, 2007: 9).

კონცეპტი ენისა და კულტურის განუყოფელი ურთიერთკავშირის რეპრეზენტანტია. მისი შინაარსობრივი მხარის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ

კომპლექსური მიდგომით, ენობრივი და კულტურული შეფასების გზით. ენობრივი და კულტურული შეფასება ნიშნავს, რომ თითოეული ენობრივი ერთეული, რომელიც აღწერს კონცეპტის მნიშვნელობას, უნდა იყოს წარმოდგენილი როგორც ვერბალური, ასევე, კულტურული ელემენტის სახითაც.

ნებისმიერი სოციალური ან კულტურული ცვლილება აისახება ენობრივ სისტემასა და მის ცალკეულ ელემენტებში. კონცეპტები ასევე ენობრივი სისტემის დინამიკური ელემენტებია და შთანთქმავს ასეთ ცვლილებებს. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეს ძალიან ნელი პროცესია, ვინაიდან კონცეპტუალური სისტემის შეცვლა ბევრად უფრო რთული და დროში უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვიდრე ცალკეული ენობრივი ერთეულების მნიშვნელობის შეცვლა.

კონცეპტების სემანტიკური მნიშვნელობები ასახავს ხალხის მენტალიტეტის და ეროვნული ხასიათის თავისებურებებს, ტრადიციებს, ნორმებს, ჩვეულებებს, ქცევის წესებს, ისტორიულ გამოცდილებასა და კულტურულ მეხსიერებას. კონცეპტების ეთნოკულტურული მახასიათებლები განსაკუთრებით იძებნება მათი რეპრეზენტანტების - ენობრივი ერთეულების - კონოტაციებში.

თითოეულ ერს აქვს უნიკალური კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც სხვადასხვა ფორმით აისახება ენაში. უკვე დიდი ხნის განმავლობაში კონცეპტები შეისწავლება არა მხოლოდ ერთი კულტურის, ერთი ენის, არამედ ორი ან მეტი კულტურისა და ენის ფარგლებში. მრავალ სამეცნიერო ნაშრომში კონცეპტები შედარებულია რუსულ და ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებში. ამ ენებს არ აკავშირებს ახლო ნათესავობა, ამ კულტურებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. რა თქმა უნდა, კონცეპტების შესწავლისას ვლინდება დიდი ლინგვოკულტურული სხვაობა. მაგრამ შესაძლებელია თუ არა მნიშვნელოვანი განსხვავებების ნახვა ახლო მონათესავე ენების კონცეპტებში? ამ თვალსაზრისით სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა აჩვენა კვლევის ნაკლებობა და დააყენა ამ საკითხის შესწავლის აქტუალობა.

კვლევისთვის ვიყენებთ, ერთი მხრივ, ახლო მონათესავე ენებს - უკრაინულს და რუსულს, მეორე მხრივ, ორ არამონათესავე ენას - ქართულს და უკრაინულს. ქართული ენა ყველა ენობრივ დონეზე (ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული და ა.შ.) მნიშვნელოვნად განსხვავდება უკრაინულისა და რუსულისგან. ქართული

კულტურა დიდი ორიგინალობითა და უნიკალური თვისებებით გამოირჩევა. უკრაინული ან რუსული ენების შედარება ქართულთან განსხვავებული სემანტიკის კონცეპტებს და მათი რეპრეზენტაციის საშუალებებს გვაძლევს.

საინტერესოა სემანტიკური მნიშვნელობის ერთობლივი მახასიათებლების გამოვლინება რუსულ, უკრაინულ და ქართულ ენებში, რისიც მიზეზია ამ ქვეყნების ერთი და იმავე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის (რუსეთის იმპერიის, საბჭოთა კავშირის) შემადგენლობაში გრძელვადიანი ყოფნის ისტორიული რეალობა. უკრაინულ და ქართველ ხალხებს აერთიანებს ისტორიული ბედის მსგავსება - მრავალსაუკუნოვანი გამუდმებული ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის, მისწრაფება ევროინტეგრაციისკენ და მსოფლიო საზოგადოებაში ადგილის დამკვიდრებისაკენ.

უკრაინული და რუსული აღმოსავლეთ სლავური ჯგუფის ენებია, რომელთა საერთო წინაპარია პროსლავური ენა, საიდანაც წარმოიშვა აღმოსავლური სლავური (ზოგიერთ წყაროებში იგი მოიხსენიება როგორც ძველი რუსული). XI საუკუნიდან ამ ენებმა ცალ-ცალკე დაიწყო განვითარება, თუმცა განიცდიდნენ მეტნაკლებ ურთიერთგავლენას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ახლო მონათესავე ხალხის კულტურა განვითარდა სხვადასხვა ისტორიული მოვლენების, განმასხვავებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და სოციალური პროცესების გავლენით. ამ მხრივ, დიდი განსხვავებაა უკრაინულ და რუსულ კულტურებში. ეს განსხვავებები აუცილებლად აისახება ენაში, განსაკუთრებით კონცეპტების სემანტიკურ მახასიათებლებში.

ასეთი შედარებითი კვლევები (რაც უდავოდ გაამდიდრებს ენათმეცნიერულ ცოდნას), პრაქტიკულად, არ არსებობს, სწორედ ეს განსაზღვრავს წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობას.

დისერტაციის მიზანია იმ ენობრივი ერთეულებისა შედარებითი კვლევა, რომლებიც წარმოადგენენ კონცეპტს ახლო მონათესავე და არამონათესავე ენებსა და კულტურების შორის (უკრაინული, რუსული და ქართული).

მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი კონკრეტული ამოცანების გადაჭრა:

- 1) კონკრეტული კონცეპტების ("ენის" კონცეპტი და "თავისუფლების"/"ნების" ბინარული კონცეპტი) ენობრივი ერთეულების ლინგვოკულტურული/ ლინგვოკულტუროლოგიური მნიშვნელობების ანალიზი ქართული, უკრაინული და რუსული ენების მასალაზე. მოცემული კონცეპტები განხილულია როგორც სამყაროს კონცეპტუალური სურათის სტრუქტურული ელემენტი. კვლევის პროცესში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა მსგავსი ფაქტორების გავლენის ჩვენება კონცეპტუალური მახასიათებლების ფორმირებაზე. კონცეპტების არჩევა ("ნება" / "თავისუფლება" და "ენა") იყო განპირობებული იმ გარემოებით, რომ ისინი ძირითად საკვანძო კონცეპტებს მიეკუთვნება აღნიშნულ კულტურებში და ხასიათდება მოცულობითი ეთნოკულტურული შევსებით, რომელიც ქმნის მრავალ უნიკალურ თვისებასა და მახასიათებელს.
- 2) დახასიათება სხვადასხვა კულტურული ექსტრალინგვისტური ფაქტორისა, რომლებიც გავლენას ახდენენ ცნებების მნიშვნელობებისა და მთლიანად კონცეპტუალურ სფეროზე.
- 3) ლექსიკოგრაფიული წყაროების, მხატვრული ლიტერატურის, პარემიოლოგიური ფონდისა და სხვა წყაროების მასალაზე მონათესავე და არამონათესავე ენებში მსგავსი კონცეპტების შესწავლის მნიშვნელობის გაშუქება მთარგმნელობით ჭრილში.
- 4) კონცეპტების მასალის საფუძველზე თარგმანის ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემების კვლევა განპირობებულია მთარგმნელთა ყურადღების აქცენტირებით ტრანსკოდირებულ ერთეულთა ზუსტ მნიშვნელობაზე, მათი კულტურული შემადგენლობის სავალდებულო ანალიზით.

ნაშრომის ძირითადი ამოცანების განხორციელებისთვის გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და ხერხები: ა) შედარებითი და შეპირისპირებითი მეთოდი; ბ) აღწერის მეთოდი; გ) კონცეპტუალური ანალიზის მეთოდი; დ) ლინგვოკოგნიტური ანალიზი; ე) სემანტიკური ანალიზი.

ნაშრომის **სამეცნიერო სიახლე** განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

- 1) პირველად კონცეპტების "ენა", "თავისუფლება"/"ნება" შედარებითი და შეპირისპირებითი ანალიზი მონათესავე - უკრაინულ და რუსულ ენებში; და არამონათესავე - უკრაინულსა და ქართულში;
- 2) გაანალიზებულია კულტურული და მენტალური ფაქტორები გავლენას ახდენენ კონცეპტების "ენა", "თავისუფლება"/"ნება" ძირითად მნიშვნელობაზე უკრაინულ, ქართულ, რუსულ ენებში;
- 3) გამოვლენილია მნიშვნელოვანი ენობრივი, კულტურული განსხვავება კონცეპტების "ენა", "თავისუფლება"/"ნება" სემანტიკაში, როგორც მონათესავე, ასევე არამონათესავე კულტურებსა და ენებში, რაც აუცილებელია კონცეპტების მნიშვნელობის უფრო სრულყოფილი გამჟღავნებისა და მთარგმნელობითი საქმიანობისათვის.

სადისერტაციო ნაშრომის **თეორიული მნიშვნელობა** იმაში გამოიხატება, რომ კვლევის შედეგად დაზუსტდა ბევრი ტერმინი ლინგვოკულტურულ და კოგნიტურ სფეროში. შესწავლილ კონცეპტებში ("ენა", "თავისუფლება"/"ნება") იყო გამოვლენილი განსხვავებული ნიშანთვისებები მონათესავე ენებში (უკრაინულ და რუსულ ენებში) და სემანტიკური სიახლოვე არამონათესავეში (უკრაინულ და ქართულ ენებში), რაც კონცეპტების შესწავლის პერსპექტიულ სფეროს წარმოადგენს.

ნაშრომის **პრაქტიკული მნიშვნელობა** მდგომარეობს ენობრივი ერთეულების მნიშვნელობის ლინგვოკულტურული/ლინგვოკულტუროლოგიური განსხვავების იდენტიფიცირებასა და აღწერაში, რაც მნიშვნელოვანია პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობისთვის. ადეკვატური თარგმნა მოითხოვს კონცეპტუალურ მიდგომას: მთარგმნელს უნდა ქონდეს გააზრებული კონკრეტული კონცეპტის ადგილი სამყაროს ენობრივ სურათში, მისი ურთიერთკავშირი სხვა საკვანძო კონცეპტებთან და განსხვავებული სემანტიკური დატვირთვა სხვადასხვა ენებში და კულტურებში.

ჩვენი კვლევის მასალას წარმოადგენს უკრაინული, რუსული და ქართული მხატვრული ლიტერატურის (XIX – XXI სს) საუკეთესო ნიმუშები, ზეპირსიტყვიერება, პუბლიცისტიკა, ლექსიკოგრაფიული წყაროები.

ნაშრომის სტრუქტურა: დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავისა და დასკვნებისგან, თან ერთვის ბიბლიოგრაფია.

შესავალში განხილულია ნაშრომის აქტუალობა, სამეცნიერო სიახლე, მოცემულია კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები, განმარტებულია კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები, დასაბუთებულია მისი შედეგების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

თავი I - კონცეპტის თეორია და კონცეპტუალური სივრცის ფორმირება - წარმოდგენილია სამ პარაგრაფში, შეიცავს თანამედროვე მეცნიერული მიდგომების ანალიზს კოგნიტური ლინგვისტიკის საგნის დასაზუსტებლად (1.1); კონცეპტის, როგორც სამეცნიერო ტერმინის, მრავალმხრივი განმარტებების დეტალურ, ანალიტიკურ მიმოხილვას (1.2); იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონცეპტუალური სივრცის ფორმირებასა და არსებობაზე (1.3).

თავი II - მონათესავე (უკრაინული და რუსული) და არამონათესავე (ქართული და უკრაინული) კონცეპტუალური სურათების მსგავსება და განსხვავება - შედგება სამი პარაგრაფისაგან, რომლებიც შეიცავს პრაქტიკულ მასალას კონცეპტების „თავისუფლება“, „ნება“ შინაარსობრივი მხარის ანალიზის სახით ქართულ, რუსულ და უკრაინულ კულტურებში, აგრეთვე ამ კონცეპტების ყველაზე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი სემანტიკური მახასიათებლების შედარებას:

2.1 - ბინარული კონცეპტის „თავისუფლება“/„ნება“ ენობრივი რეპრეზენტაციის შესწავლა უკრაინულ ენაში ემყარება პარემიოლოგიური ფონდის, ტარას შევჩენკოს შემოქმედების და XX - XXI საუკუნეების მხატვრული ლიტერატურის ცალკეული ნაწარმოებების ანალიზს;

2.2 - რუსულ ენაში "თავისუფლების"/"ნების" კონცეპტის გამომხატველი ნომინაციური ერთეულების სემანტიკური ანალიზი და აღწერა მოცემულია უკრაინულ ენასთან შედარებით ასპექტში.

2.3 - ქართულ ენაში კონცეპტი "თავისუფლება" / "ნება" გაანალიზებულია რუსულსა და უკრაინულ კონცეპტებთან შეპირისპირებაში, გამოვლენილია და არგუმენტირებულია საერთო და განსხვავებული მახასიათებლები.

თავი III - "ენის" კონცეპტის შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი უკრაინული, რუსული და ქართული ენების ლინგვოკულტურებში - შედგება სამი პარაგრაფისაგან, შეიცავს შედარებით და შეპირისპირებით ანალიზს (ძირითადი) ენობრივი ერთეულებისა, რომლებიც წარმოადგენს რუსულ, უკრაინულ და ქართულ ენობრივ კულტურებში "ენის" კონცეპტს; მოცემულია ანალიზი სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორებისა, რომლებმაც გავლენა მოახდინა კონცეპტების სემანტიკური მახასიათებლების ჩამოყალიბებაზე. განხილულია ხალხთა კულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებლები, რომლებიც აისახება არა მხოლოდ ცალკეულ კონცეპტებში, არამედ მთლიანად კონცეპტუალურ სისტემაში:

3.1. - შეიცავს კონცეპტი "ენის" მნიშვნელოვანი სემანტიკური მახასიათებლების ანალიზს უკრაინულ ლინგვოკულტურაში;

3.2. - წარმოდგენილია რუსული კონცეპტის "ენის" ძირითადი მნიშვნელობების შედარებითი ანალიზი უკრაინული ენასთან, აქცენტი კეთდება მონათესავე ენების კულტურულ მნიშვნელოვან განსხვავებებზე;

3.3. - განხილულია ქართული კონცეპტი "ენა" სამყაროს ენობრივ სურათში.

ნაშრომის დასკვნაში მოცემულია კვლევის შედეგები.

თავი I კონცეპტის თეორია და კონცეპტუალური სივრცის ფორმირება

1.1. თანამედროვე კოგნიტური ლინგვისტიკა

თანამედროვე ლინგვისტური კვლევის ფარგლებში განსაკუთრებით აქტუალურია კოგნიტური ლინგვისტიკის საკითხები. ევროპული და ამერიკული კოგნიტური ენათმეცნიერების ცნობილ წარმომადგენლებს შორის აღსანიშნავნი არიან ჩ. ფილმორი, რ. ლენეკერი, ლ. ტალმი, ჟ. ლაკოფი, მ. ტერნერი დ. ჯერარტსი, ა. ბარსელონა, რ. დირვენი და სხვანი. რუსეთში კოგნიტური ლინგვისტიკის საკითხებს განიხილავენ ისეთი მკვლევრები, როგორებიცაა ე. კუბრიაკოვა, ი. სტეპანოვი, ზ.

პოპოვა, ი. შტერნინი, ვ. დემიანკოვი, ნ. ბოლდირევი, ვ. ზაბოტკინა, ე. პეტრუხინა, ე. გოლოვანოვა, ე. რახილინა და სხვები.

კოგნიტური ლინგვისტიკის მთავარ ამოცანებს შორის უნდა აღინიშნოს ენის როლის შესწავლა შემეცნების პროცესებში, ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების პროცესში, აგრეთვე მის გადაცემაში; სამყაროს გააზრების საკითხების შესწავლა; კულტურული და ენობრივი კატეგორიზაციისა და კონცეპტუალიზაციის საშუალებებისა და მეთოდების აღწერა; კონცეპტების, კონცეპტუალური სფეროს ცნებების დაზუსტება, სამყაროს კონცეპტუალური და ენობრივი სურათების შესწავლა (მასლოვა 2004: 24-25).

კოგნიტური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ენა არის ცოდნის შენახვის, გადაცემის, აზრების ფორმირების და გაცვლის საშუალება. ამრიგად, ენა სხვა ცნობილ ფუნქციებთან ერთად (კომუნიკაციური, სემიოტიკური, ზემოქმედებითი და ა.შ.) ასრულებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან - კოგნიტურ ფუნქციას.

ერთ-ერთი ძირითადი წარმონაქმნი, რომლის მახასიათებლების შესწავლა კოგნიტური ლინგვისტიკის ამოცანას წარმოადგენს, კონცეპტი და კონცეპტუალური სფეროა. კონცეპტებისა და კონცეპტუალური სფეროს შესწავლისას, კოგნიტური ლინგვისტიკა განიხილავს ენას, როგორც ინფორმაციის წყაროს მსოფლიოს ენობრივი სურათის შესახებ, რისი დახმარებითაც ყალიბდება კონცეპტის სემანტიკა, განისაზღვრება ეროვნული მენტალიტეტი, გადმოცემულია ეროვნული ცნობიერება, ეროვნული ხასიათი და ცალკეული ეთნიკური ჯგუფის მიერ სამყაროს აღქმის თავისებურებები. კონცეპტი განასახიერებს ერის მენტალურ მახასიათებლებს, რაც ნიშნავს, რომ იგი წარმოადგენს ინდივიდუალური და კოლექტიური აზროვნების ერთეულს (კარასიკი, სტერნინი 2007: 9).

კოგნიტურ ლინგვისტიკას აქვს კვლევის სპეციფიკური საგანი, რომელიც ხსნის ახალ შეხედულებას ენაზე. ენა ის ვერბალური მასალაა, რომელიც შეიცავს გამოცდილების შედეგად ჩამოყალიბებულ ცოდნას, რომელიც გარკვეული ეთნოსის მიერ სამყაროს აღქმის პროცესში ფორმირდება, თავისი სპეციფიკური ეთნოკულტურული ხედვით. მაგრამ გამორჩეული საგნის გარდა, ამ მეცნიერებამ ჩამოაყალიბა სპეციფიკური კვლევის მეთოდი - კონცეპტუალური ანალიზი - რომელიც წამყვანი მეთოდია სამეცნიერო განვითარების ამ სფეროში. ამ მეთოდის

ფარგლებში გამოიყენება სხვადასხვა ტექნიკა - კონცეპტუალური ან კოგნიტური მოდელირება, ფრეიმი, პროტოტიპული ანალიზი და სხვები (ბოლდირევი 2004: 23).

1.2. კონცეპტის განსაზღვრა

ადამიანი აღიქვამს სამყაროს, მუდმივად ითვისებს ახალ ცოდნას მის შესახებ. შემეცნების პროცესში მიღებული ინფორმაცია ცალკეულ ცნებებად განისაზღვრება, რომელთა შორის კონცეპტები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. როგორც მრავალი მეცნიერი აღნიშნავს, ადამიანი ფიქრობს და მოქმედებს კონცეპტების სამყაროში, თავდაპირველად, მათი სემანტიკური მნიშვნელობების ჩამოყალიბებით, შემდგომში ადამიანი იმავე მნიშვნელობებით მოქმედებს სხვა კონცეპტების ახსნისას.

კონცეპტი მეცნიერების მთელ სპექტრში მრავალი მიმართულებით შეისწავლება. კოგნიტური ლინგვისტიკა, კულტუროლოგია, ლინგვოკულტუროლოგია, პოლიტოლოგია, სოციოლოგია და ეთნოფსიქოლოგია - თითოეული მიმართულება ამ ცნებაში ხედავს სხვადასხვა მნიშვნელოვან მხარეს და შესაბამისად, მეცნიერებაში კონცეპტის ცნებების სხვადასხვა განსხვავებული განმარტება არსებობს.

კონცეპტების შესწავლის მრავალი მიდგომა არსებობს, რომელთა შორის ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია კოგნიტურ და ლინგვოკულტურულ მიდგომებზე.

კონცეპტების კოგნიტური გამოკვლევა ხდება კოგნიტური ლინგვისტიკის განვითარების ჩარჩოებში, რომელიც შეისწავლის ისეთ ცნებებს, როგორიცაა „ცოდნის კვანტი“ და კოგნიტური პროცესები ცნობიერების საფუძველზე, გამოაქვს დასკვნები ადამიანის ცნობიერებაში კონცეპტების ტიპებისა და შინაარსის შესახებ (კარასიკი, სლიშკინი 2005: 14).

ლინგვოკულტურული მიდგომა წარმოადგენს კონცეპტს, როგორც „კულტურის კოლტს“ ადამიანის გონებაში, პირველ რიგში იმ კულტურული პროცესების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენენ კონცეპტის მნიშვნელობების ჩამოყალიბებაზე (სტეპანოვი, 2001: 43). ლინგვოკულტუროლოგიაში საყურადღებოა ნ. არუთინოვას, ზ. ბიჟევას, ა. ვეჟბიცკაიას, ს. ვორკაჩევის, ვ. კარასიკის, ვ. მასლოვას, გ. სლიშკინას, ი. სტეპანოვის, ვ. თელიას, გ. ტოკარევის, რ. ფრუმკინას და სხვათა ნაშრომები.

განსაკუთრებით ბევრი ენათმეცნიერი და კულტურული განიხილავს კონცეპტს სხვა მნიშვნელოვან ცნებასთან, კერძოდ, სამყაროს ენობრივ სურათთან, მჭიდრო კავშირში. ამგვარი წარმონაქმნების ურთიერთკავშირი, პირველ რიგში, განპირობებულია მათ წარმომქმნელ წყაროთა ერთობით. როგორც ზ. პოპოვა და ი. სტერნინი მიიჩნევენ, სპეციფიკური მგრძობიარე გამოცდილება, რომელიც თავის მხრივ ყალიბდება სამყაროს აღქმის პროცესში, ადამიანის ობიექტური საქმიანობა, ჩამოყალიბებული კონცეპტების გონებრივი შეფასება, ენობრივი კომუნიკაცია, სამყაროს მუდმივი უწყვეტი შემეცნება, კერძოდ, ენობრივი ერთეულების ათვისება გავლენას ახდენს კონცეპტის ფორმირებაზე (პოპოვა, სტერნინი, 2001: 40).

კონცეპტი მნიშვნელოვანი ლინგვისტური ცნებაა და გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს ამ მეცნიერებაში. კონცეპტის მთავარ განმასხვავებელ ფუნქციად, მრავალი მკვლევარი განსაზღვრავს ჩანაცვლების ფუნქციას. ისინი რამდენიმე ლექსიკურ ცნებებს ანაცვლებენ ერთი ლექსემით. გარდა ამისა, კონცეპტის მეორე ფუნქციას მნიშვნელობის გაფართოების საშუალება წარმოადგენს. როგორც ნებისმიერი მრავალმხრივი, რთული ცნება, კონცეპტი შეისწავლება არა მხოლოდ ინტეგრირებული თვალსაზრისით, არამედ სტრუქტურის დეტალური გამოკვლევით.

ამრიგად, მეცნიერები ცდილობენ განასხვავონ ამ ცნების სტრუქტურული ელემენტები, ამავდროულად იპოვონ კონცეპტის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორებიცაა ფართო საზღვრები, დინამიურობა და პირობითობა.

კონცეპტების შედარებით-შეპირისპირებითი კვლევა აღნიშნული სამეცნიერო საკითხების შესასწავლად მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

1.3. კონცეპტუალური სივრცის ფორმირება

ენობრივი ერთეულების მნიშვნელობა არ შეიძლება განისაზღვროს ცალკე; ეს მხოლოდ სხვა შემეცნებითი სტრუქტურების კონტექსტში ხდება. ეს მნიშვნელობა უნდა ჩამოყალიბდეს არა მხოლოდ პარადიგმატული და სინტაგმატური კონტექსტის თვალთ, არამედ კოგნიტურითაც - ეს არის ცოდნის გარკვეული ბლოკები, რომლებიც ამ მნიშვნელობებს მიღმა დგას და უზრუნველყოფს მათ გაგებას (ბოლდირევი, 2004: 25).

თითოეული ენის კონცეპტუალური სისტემა ყალიბდება სხვადასხვა ფაქტორის გავლენით, რომელთა შორის აღსანიშნავია გარკვეული ხალხის მსოფლმხედველობა და სამყაროს აღქმა, მისი ცხოვრების წესი, ნორმები და ტრადიციები, ისტორიული წარსული, განვითარების თანამედროვე პირობები და ა.შ. ჩამოყალიბებული კულტურული ნორმები და პრინციპები აუცილებლად აისახება ენაში, რომელიც განასახიერებს სხვადასხვა კონოტაციურ მნიშვნელობასა და ენობრივი ერთეულების მნიშვნელობის სპეციფიკურ სემანტიკას.

კონცეპტუალური სისტემა ივსება ძირითადი მნიშვნელობებით და წარმოადგენს ცოდნის, შეფასების, იდეების ერთობლიობას სამყაროს შესახებ, რომელსაც თავისებურად აღიქვამს გარკვეული ერი. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ კონცეპტუალური სისტემა ასახავს სამყაროს შესახებ ობიექტურ ცოდნას, მათი ფორმირება და დაგროვება შეუძლებელია კონკრეტული ადამიანისა და მთლიანად ხალხის მიერ ამ სამყაროს სუბიექტური აღქმის გარეშე.

ცხოვრების სტილი და მსოფლმხედველობა, მენტალობა, კულტურული ნორმები და ტრადიციები აუცილებლად აისახება ენის ენობრივი ერთეულების მნიშვნელობებში. კონცეპტუალური სისტემის მახასიათებლები ნათლად წარმოჩენილი ისეთ ფორმირებებში, როგორებიცაა კონცეპტები.

XX საუკუნის ბოლოსთვის მეცნიერებაში მრავალი ნაშრომი გამოჩნდა სამყაროს ენობრივი სურათის პრობლემისა და, კერძოდ, სამყაროს ენობრივი სურათის შესახებ (გ.ბრუტიანის, ს.ვასილიევის, გ.კოლშანსკის, მ.ბლეკის, ჯ.ხაიმსის და სხვ. შრომები). ლინგვისტურ მეცნიერებაში სამყაროს სურათი გაგებულია, როგორც ცოდნა რეალობის შესახებ. ცოდნა კი ფორმირდება გამოცდილების, ნორმების, წესების, ტრადიციების, ადათთა გავლენით. სამყაროს ენობრივი და კულტურული სურათის, კონცეპტის, კონცეპტუალური სფეროს ცნებები მრავალი სამეცნიერო სფეროს კვლევის საგანია და აქტუალურია ანთროპოცენტრული სამეცნიერო პარადიგმის ფარგლებში.

თავი II მონათესავე (უკრაინული და რუსული) და არამონათესავე (ქართული და უკრაინული) კონცეპტუალური სურათების მსგავსება და განსხვავება

2.1. ბინარული კონცეპტის "თავისუფლება" / "ნება" ენობრივი შემადგინლობა და სპეციფიკა უკრაინულ ენაში

2.1.1. ბინარული კონცეპტის "თავისუფლება" / "ნება" სემანტიკური თვისებები, რომლებიც ვლინდება პარემიოლოგიურ ფონდში

პრაქტიკული კვლევის ფარგლებში ჩვენ ჩავატარეთ კონცეპტის „ნება“/„თავისუფლება“ შედარებითი ანალიზი. ეს კონცეპტი ენისა და კულტურის შემადგენელია. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთ კონცეპტებს კონსტანტი ეწოდება. კონსტანტი არის კონცეპტები, რომლებიც ხალხის კულტურაში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არსებობს ან, როგორც ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, ყოველთვის არსებობს. ისინი შეიძლება სახელით ემთხვეოდეს სხვა ეროვნული კულტურის კონსტანტებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, სემანტიკური შინაარსის განსხვავებით. მათი სემანტიკა ვლინდება არა სამეცნიერო-კონცეპტუალურ, არამედ ყოველდღიურ განზომილებაში, კონკრეტულ კულტურაში დაფიქსირებულ რეალობაში. ისინი წარმოადგენენ კოლექტიურ ცნობიერებას და ობიექტურ ხასიათს ატარებენ გარკვეულ საზოგადოებაში.

ნების კატეგორია განსაკუთრებით ღირებულია უკრაინელი ხალხისთვის. ამ კონცეპტის მსგავსი პოზიცია განპირობებულია მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტორებით, რომლებმაც გავლენა მოახდინეს უკრაინელი ერის მენტალიტეტის ჩამოყალიბებაზე. მრავალი საუკუნის განმავლობაში უკრაინელი ხალხი იბრძოდა და იბრძვის თავისი ნების (თავისუფლების) და დამოუკიდებლობისთვის: ტერიტორიების, საზღვრების, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის ყველა სფეროში.

ვერბალური კონცეპტი უკრაინულ ენაში წარმოდგენილია ლექსიკონისა და კონტექსტუალური მნიშვნელობების კომპლექსით. მთავარი ვერბალიზატორი არის სიტყვები «воля» და «свобода», რომლებიც თანამედროვე მეცნიერებაში ხშირად გაიგივებულია XXI საუკუნის პიროვნების სიმბოლოებთან (ვასილენკო, სემენიშინი 2016: 113).

უნდა აღინიშნოს, რომ ხალხურ შემოქმედებასა და პოეზიაში ლექსემა «воля» უფრო გავრცელებულია, ვიდრე ლექსემა «свобода». უკრაინული კონცეპტი «воля» აერთიანებს როგორც პიროვნულ ასპექტს, ასევე ეროვნულს. ამავე დროს, ეროვნული ასპექტის დიდი როლი გავლენას ახდენს თითოეული უკრაინელის ნების აღქმის ფორმირებაზე.

ენობრივ კონცეპტს «воля» აქვს რთული ფსიქოლონგვისტური სტრუქტურა, ის ხასიათდება სხვადასხვა ფსიქოფიზიკური პარამეტრებით, პოლისემიურობით. თავისუფლებისა და ნების კონცეპტთა დიქტომია ემყარება ფსიქიკური და სოციალურ-პოლიტიკური კატეგორიების წინააღმდეგობას. თუმცა, ფსიქიკური მოვლენების სოციალურ დონეზე, ან პირიქით, სოციალურიდან ფსიქიკურ სფეროში გადატანის შემთხვევაში - ორივე კონცეპტი იკვეთება, ემთხვევა ერთმანეთს.

კონცეპტი "воля" არის გამოვლენილი მრავალრიცხოვან პარემიაში, რომლებიც ავლენენ ამ ცნების სემანტიკას, როგორც ზნეობრივ და ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს (Вільному воля не потрібна.);

ნება არის ოცნება, სურვილი, მიზანი (Сам у неволі, а мрії на волі. Або волю здобути, або дома не бути).

ნება არის ძალა (Воля дає силу слабим.); უფრო ღირებული ვიდრე სიცოცხლე და სიმდიდრე, უმაღლესი სიკეთე (Життя не має ціни, а воля дорожча за життя. За народ і волю віддамо життя і долю.);

ნება არის კარგი ბედის პირობა (Хто без волі, той без долі);

ნება არის სრულყოფილი სიცოცხლის პირობა (Чоловік без волі, як кінь на припоні);

ნება არის პოტენციური მოქმედება (На волі я й гори потоплю);

ნება არის უკრაინელი კაზაკის ცხოვრების აზრი და მიზანი, ბრძოლა (Степ та воля – козацька доля);

ნება პირადია (У своїй хаті своя правда і сила, і воля);

ნება - ფიზიკური სივრცეა (Коли козак у полі, то він на волі);

ნებას აქვს უარყოფითი კონოტაცია (Дай серцю волю, а сам підеш у неволю).

პარემიოლოგიური ფონდის ანალიზით მივედით დასკვნამდე, რომ კონცეპტის "воля" ძირითადი მნიშვნელობიდან აღსანიშნავია: ნება - ძალა, სურვილი, ზნეობრივი

და ნებისყოფის თვისებებია. ასევე ამ კონცეპტის მნიშვნელობაში არის ბრძოლის ასპექტი.

"თავისუფლების" კონცეპტი (უკრ. «свобода») პარემიოლოგიაში ნათლად არ ამჟღავნებს მის მნიშვნელობებს, ვინაიდან იგი წარმოდგენილია რამდენიმე ანდაზასა და გამონათქვამში:

Ліпше холодно і голодно, але вільно.

Народ без свободи, як безплідна земля, лиш терен родить.

Народ без свободи — як риба без води.

კონცეპტის სემანტიკური შინაარსი გამოვლენილია ლექსიკოგრაფიული მასალის ანალიზით, რომელიც გადმოგვცემს კონცეპტის "свобода" შემდეგ მნიშვნელობებს:

1) პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის, ჩაგვრისა და შეზღუდვების არარსებობა როგორც საზოგადოების, ისე ცალკეული კლასის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში; დემოკრატიული თავისუფლებები, ნება;

2) პატიმრობის, ციხეში ყოფნის, ტყვეობაში ყოფნის და ა.შ. გამორიცხვა;

3) სიცოცხლე, არსებობა ვინმესგან დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებისამებრ ქცევის უნარი;

4) ნებისმიერი ზონის, ბარიერების და აკრძალვების გარეშე მოქმედების შესაძლებლობა;

5) ფილოსოფიური კატეგორია - აჩვენოს სუბიექტის შესაძლებლობა თავისი ნება ბუნების და საზოგადოების განვითარების კანონების ცოდნის პირობებში;

6) სირთულე არაფერშია;

7) უშუალობა ურთიერთობებში,

8) თავისუფალი დრო სამსახურიდან (უკრაინული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1970: 98).

ამავე ლექსიკონში კონცეპტი „воля“ შემდეგი მნიშვნელობებით არის წარმოდგენილი:

1) ადამიანის ფსიქიკის ერთ-ერთი ფუნქცია, რომელიც შედგება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე ძალაუფლების, საკუთარი მოქმედებების კონტროლისა და საკუთარი ქცევის შეგნებული რეგულირებისაგან; თქვენი მიზნის მიღწევისკენ სწრაფვა;

2) სურვილი, მოთხოვნა, წესრიგი;

3) განკარგვის უფლება საკუთარი შეხედულებისამებრ; ძალა; ნებართვა, თანხმობა, გადაწყვეტილება;

4) არანაირი შეზღუდვა; თავისუფლება; პირადი ცხოვრება სახლში;

5) თავისუფლება, დამოუკიდებლობა;

6) გლახთა განთავისუფლება მონობისგან (უკრაინული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1980: 735).

ლექსიკონის მნიშვნელობები განსაზღვრავს კონცეპტების სემანტიკას, რომლებიც გარკვეულ მნიშვნელობებში იკვეთება, მაგრამ მაინც განსხვავდებიან: ნება გადმოსცემს როგორც პიროვნების, ასევე შეზღუდული და ჩაგრული ხალხის შინაგან მდგომარეობას. მაგრამ ნების წართმევა შეუძლებელია. თავისუფლება ასოცირდება შეზღუდვების გარეშე მდგომარეობასთან სოციოპოლიტიკურ სფეროში, პატიმრობის გარეშე.

უკრაინული პარემიები ფართოდ ასახავენ კონცეპტის "ნების" სემანტიკას, მაგრამ თითქმის არ გადმოსცემენ კონცეპტის "თავისუფლების" მნიშვნელობას, ვინაიდან პარემიების დონეზე იშვიათად გამოიყენება თავად ლექსემა "თავისუფლება".

2.1.2. ბინარული კონცეპტი "ნება"/"თავისუფლება" ტარას შევჩენკოს შემოქმედებაში

თავისუფლებისა და ნების იდეა ტარას შევჩენკოს შემოქმედებაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. თავად პოეტი, მისი ცხოვრება და შემოქმედება თავისუფლების იდეის მაგალითია. როგორც მკვლევარი ა. შკრაბალიუკი აღნიშნავს, თავისუფლების იდეა შევჩენკოს შემოქმედებაში გამოხატულია "ნების" კონცეპტში, რომელიც შინაარსობრივად მდიდარია და ანალოგი არ აქვს არა მხოლოდ უკრაინულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაშიც (შკრაბალიუკი, 2010: 8-10).

ამრიგად, ტარას შევჩენკოს პოეტურ მეტყველებაში ნათლად არის აღწერილი კონცეპტი „ნება“ – «воля» და არა „თავისუფლება“ – «свобода». ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ დიდი პოეტის შემოქმედებაში, ისევე როგორც ზოგადად უკრაინულ

ენაში, პირდაპირ გამოიყენება ლექსემა «воля» და არა «свобода». სიტყვა "свобода" რამდენჯერმე გამოიყენა პოეტმა რუსულ ენაზე დაწერილ ნაწარმოებში:

«Твои горы, твое море;

Все красоты природы не искупят его горя, не дадут свободы»;

«Свободу людям - в братстве их ты проявил великим словом...»;

«... Не отходя благословил свободу мысли, дух любви» („Кобзарь“).

უკრაინელი მკვლევარი ვ. ვაშჩენკო, რომელიც იკვლევდა XX საუკუნის 60-იან წლებში ტ. შევჩენკოს შემოქმედებას, აღნიშნავს, რომ სიტყვა "ნება" – «воля» - პოეტის შემოქმედებაში დაახლოებით 160-ჯერ არის გამოყენებული, რაც მოწმობს პოეტის მსოფლმხედველობაში ამ კონცეპტის უდიდეს როლსა და მნიშვნელობას (ვაშჩენკო, 1963: 25).

ბევრმა მეცნიერმა შეისწავლა ტ. შევჩენკოს შემოქმედებაში კონცეპტი "воля", რომელიც განსაზღვრავს ამ კონცეპტის სემანტიკური შინაარსის განვითარების ასეთ ვექტორს: "ნება - ძალა", "ნება - „ძალაუფლება“, "ნება - ბედი", "ნება - მოქმედება", "ნების მოქმედება", "ნება - უნებობა", "ნების თვისებები", "ნების მდგომარეობა", "ნების სივრცე", "ნება-აუცილებლობა", "ნება-ეთნიკური მახასიათებლები", "ნება-ემოციური მახასიათებლები".

ნების კონცეპტის გაანალიზებით, რომელიც ფართოდ არის წარმოდგენილი ტარას შევჩენკოს შემოქმედებაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გენიალურმა პოეტმა თავის შემოქმედებაში საკმაოდ ნათლად გადმოგვცა ყველა კონოტაციური მნიშვნელობა. ძირითად მნიშვნელობებს - სურვილს, ძალას, ღირებულებას - ასევე ემატება მრავალი დამატებითი მნიშვნელობა, რაც ქმნის მრავალმხრივი კონცეპტის სხვადასხვა შინაარსობრივ გაგებას. ამათში აღსანიშნავია: ნება, როგორც ბედი, მონობა; ნება არის წმინდა, ღმერთის მიერ მოცემული; ნება უფრო ფასეულია, ვიდრე სიცოცხლე და უკვდავება, როგორც სული; ნება, როგორც ცოცხალი არსება; ნება - კაზაკების განმათავისუფლებელი ბრძოლა და მრავალი სხვა.

პოეტის შემოქმედება არ ავლენს "თავისუფლების" ცნების სემანტიკურ მნიშვნელობას. ჩვენი აზრით, ეს არის ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ უკრაინულ ენაში სიტყვის "ნების" გამოყენება უფრო ხშირია, ვიდრე სიტყვის "თავისუფლება". შევჩენკოს პოეტურ სტრიქონებში სიტყვა „თავისუფლება“

იშვიათად არის გამოყენებული და ფართოდ არ არის გადმოცემული მისი მნიშვნელობის ნიუანსები.

მე-20 საუკუნეში შეიცვალა ვითარება სხვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორების გამო - სოციალური და საზოგადოებრივი მოძრაობა, სახელმწიფო სისტემის ცვლილება, კულტურული რეალობების ცვლილება და მრავალი სხვა ფაქტორი.

2.1.3. ბინარული კონცეპტების "ნების"/"თავისუფლების" მნიშვნელობათა ანალიზი XX - XXI საუკუნეების ლიტერატურაში

მე-20 საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა ექსტრალინგვისტურმა ფაქტორებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა სამყაროს უკრაინულ ენობრივ სურათში. უკრაინის ეთნიკურ ტერიტორიაზე სიტყვა "თავისუფლება" («свобода») ფართოდ არის გავრცელებული. ცვლილებები გამოიხატება ამ სიტყვის უფრო ხშირი გამოყენებაში აღნიშნულ პერიოდში, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, ასევე პუბლიცისტიკაში. სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების განვითარებასთან, თავისუფლებისთვის და უფლებებისთვის ბრძოლასთან ერთად გაჩნდა ისეთი გამონათქვამები, როგორებიცაა:

«свобода слова» (სიტყვის თავისუფლება),

«свобода особистості» (პიროვნების თავისუფლება),

«свобода друку» (ბეჭდვის თავისუფლება),

რომლებიც გამოიყენებოდა მხატვრულ ლიტერატურაში:

„Я просвічена людина, маю право на свободу, на самостійність“

(*ი. ნეჩუი-ლევიცკი*);

„Народ ще тільки осмислює конституційні простори своєї свободи, а уряд уже стріляє“ (ვ. სტუს).

ამ პერიოდში სიტყვამ «свобода» ("თავისუფლება") შეიძინა სხვა მნიშვნელობაც: თავისუფლება პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ხოლო სიტყვას «воля» ("ნება") მიენიჭა მთავარი მნიშვნელობა, როგორც შინაგანი ფსიქიკური მდგომარეობა საკუთარი ქმედებების კონტროლისა და ქცევის შეგნებულად რეგულირების, სურვილების რეალიზების შესაძლებლობისა (კატაევა, 2003: 11).

XX საუკუნეში კონცეპტმა "თავისუფლება" შეიძინა სრულიად ახალი მნიშვნელობები, რომლებიც ასოცირდება პირის მიერ მოქალაქის სტატუსის მოპოვებასთან. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის ბოლოს - XXI საუკუნის დასაწყისში უკრაინულ ენაში "თავისუფლების" კონცეპტის სემანტიკური შინაარსი გამდიდრდა არსებითად ახალი მნიშვნელობით: თავისუფლების გლობალური გაგება დავიწროვდა - პიროვნების თავისუფლება, მოქალაქის თავისუფლება.

მკვლევარი ა.ივჩენკო აღნიშნავს, რომ კონკრეტული ადამიანის თავისუფლება წარმოადგენს მთელი საზოგადოების თავისუფლების განმსაზღვრელ კრიტერიუმს. თანამედროვე ცივილიზაციაში თავისუფლება არის ერთ-ერთი განმსაზღვრელი პიროვნების განმტკიცებისა. თავისუფალი ადამიანი არის დემოკრატიული საზოგადოების საძირკველი (ივჩენკო, 2001:32). "თავისუფლების" კონცეპტმა, ლექსემის გამოყენებასთან დაკავშირებით, შეიძინა სოციალურ-პოლიტიკური დატვირთვა. უკრაინულ ენაში სიტყვა "свобода" მრავლობით რიცხვშია გამოყენებული, რასაც ვერ ვითვქვით სიტყვა "воля"-ზე (იგი გამოიყენება მხოლოდ მხოლობითში).

ზემოაღნიშნული ღირებულებები მნიშვნელოვანია თანამედროვე კონცეპტის "თავისუფლების" სემანტიკისთვის. ამავე დროს, თავისუფლების, როგორც პირადი უფლებების გაგება, უახლოეს მომავალში შეიძლება შეიცვალოს უფრო სრულყოფილი გაგებით. გეოპოლიტიზმისკენ სწრაფვა მნიშვნელოვნად ცვლის ხალხის მსოფლმხედველობას. და თუ ადრე მსოფლიო აღქმაში დიადა "პიროვნება - ხალხი ან / და სახელმწიფო" ჭარბობდა, ახლა ღირს საუბარი უფრო გლობალური კომპონენტის „პიროვნების - ხალხის ან / და სახელმწიფოს - საერთაშორისო საზოგადოების (სხვა ქვეყნები და ხალხები)“ ჩართვაზე.

2.2. ბინარული კონცეპტის "ნება"/"თავისუფლება" სემანტიკური შინაარსი და გაფორმება რუსულ ენაში

რუსულ ენობრივ სურათში "ნების"/"თავისუფლების" ცნებებს არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება, ვიდრე უკრაინის კონცეპტუალურ სფეროში, რადგან ისინი განსხვავდებიან სემანტიკურად, მჭიდრო კავშირშია რუსი ხალხის ცხოვრების სოციალურ-კულტურულ ასპექტებთან. ამ კონცეპტებში ჩანს, თუ როგორ

გამოხატავენ მათ მსოფლმხედველობას ენის საშუალებით (პეტროვი, 2002: 207). რუსულ ლინგვოკულტურაში ცნებები "ნება" და "თავისუფლება" ისეთივე მნიშვნელოვან კონცეპტს წარმოადგენენ, როგორც უკრაინულ ლინგვოკულტურაში.

ა.სოლოხინა, ლექსიკოგრაფიული წყაროების ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრავს "თავისუფლების" ცნების ოთხ ძირითად მნიშვნელობას რუსულ ენაში:

- 1) შესაძლებლობა გააკეთო ის, რაც გინდა, იმოქმედო სურვილისამებრ;
- 2) პოლიტიკურ სფეროში შეზღუდვების, აკრძალვების არარსებობა;
- 3) არანაირი შეზღუდვა;
- 4) თავისუფლება როგორც არც ციხეში ყოფნა, არც მონობაში ყოფნა (სოლოხინა, 2004: 54–55).

ვ. ურისონი კონცეპტების შედარებით ანალიზში მიუთითებს, რომ "ნება" სინონიმია "თავისუფლების" მდგომარეობის აღნიშვნის შემთხვევაში და არა გრძნობის მნიშვნელობით. რადგან რუსულ ენაში გამოთქმა "чувство воли" (ნების გრძნობა) კი არ არის, არამედ "чувство свободы" (თავისუფლების გრძნობა). ეს ორი ლექსემა ასევე სინონიმია, როდესაც საქმე ეხება შეუფერხებელი მოქმედების შესაძლებლობას, ხოლო შეზღუდვები, რომლებიც მათ ხელს უშლის, დგინდება როგორც ადამიანის, ისე მთლიანად საზოგადოების, ტრადიციების, ზნეობის, მატერიალური რესურსების ნაკლებობის, ცხოვრებისეული გარემოებების მიხედვით. აღსანიშნავია მკვლევარ ურისონის მნიშვნელოვანი დასკვნა. რომ ლექსემა "ნება" თანამედროვე რუსულ ენაში მოძველებულია, ხოლო "თავისუფლება" აქტუალური ცნებაა და უფრო ზოგადი მნიშვნელობა აქვს (ურისონი, 2004: 697).

დღეს უკრაინულ და რუსულ ენებში კონცეპტებმა "თავისუფლება" საკმაოდ მნიშვნელოვანი სემანტიკა შეიძინა - სოციალური და პოლიტიკური თავისუფლება. მაგრამ რუსულ ენაში ამ მნიშვნელობამ არ მოიპოვა საკვანძო ცნების სტატუსი. რუსული კონცეპტი "თავისუფლება" (свобода) შეიცავს ბევრ სხვა მნიშვნელობასაც. მაგალითად, თავისუფალი მოქმედება, პიროვნების თავისუფლება, თავისუფალი გარემო და სხვა. უკრაინულ ენაში სოციალური და პოლიტიკური თავისუფლება არის ერთ ერთი უმთავრესი კონცეპტი თავისუფლების (свобода) მნიშვნელობისა. და დიდი სემანტიკური დათვირთვა აქვს კონცეპტ „воля“-ს.

რუსულ ენაში კონცეპტების "ნება"/"თავისუფლება" სემანტიკური მნიშვნელობები სულ სხვაგვარად არის განაწილებული. კონცეპტი "თავისუფლება" ღრმა სემანტიკური მნიშვნელობისაა, იგი აერთიანებს საზოგადოების მიერ დაწესებულ გარკვეულ ჩარჩოებს - შეზღუდვების არარსებობა და ნების განხორციელება. თავად სიტყვა "თავისუფლება" («свобода») უფრო ხშირად გამოიყენება ცხოვრების ყველა სფეროში და სიტყვა "ნება" («воля») უფრო და უფრო არქაული ხდება, ანუ ის ძველდება თანამედროვე რუსულ ენაში.

როგორც შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რუსულ და უკრაინულ ენებში კონცეპტის „ნება“ / „თავისუფლება“ სემანტიკაში არსებული განსხვავებები მეტყველებს სამყაროს ენობრივი და კონცეპტუალურ სურათების განსხვავებაზე.

ამრიგად, ენობრივი ერთეულების იმავე ვერბალური გამოხატვის არსებობა სულაც არ ნიშნავს, რომ ამ ერთეულების მნიშვნელობა, როგორც ცნებები, იგივე იქნება. ამ მაგალითში ჩვენ დავინახეთ ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავებები ორ მონათესავე ენას - უკრაინულსა და რუსულს შორის.

რუსული კონცეპტი "воля" მნიშვნელოვნად განსხვავდება უკრაინული "воля" კონცეპტისაგან. უკრაინა იბრძოდა თავისუფლებისა და თავდაცვისათვის, დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის დამკვიდრებისათვის. ნების იდეა უკრაინულ ენაში ნიშნავს სიცოცხლეზე უფრო ღირებულს - სახელმწიფოს თავისუფლებას, პიროვნების თავისუფლებას. ასეთი ღირებულებები უკრაინული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების რეალობის ნიადაგზე ჩამოყალიბდა, ვინაიდან უკრაინელი ხალხი დიდხანს იმყოფებოდა სხვადასხვა სახელმწიფოების და პოლიტიკური ძალების კონტროლის ქვეშ. რუსი ხალხი კი არ იცნობს ასეთ რეალობას. მათ ქონდათ ძლიერი სახელმწიფო და ძალაუფლება, უზარმაზარი ტერიტორიები.

გარდა ამისა, კონცეპტების მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანი არის ნეგატიური დამოკიდებულება ნებისადმი რუსულ ლინგვოკულტურაში, რომელიც არის გამოხატული ხალხურ შემოქმედებაში და არ არის დამახასიათებელი უკრაინული კონცეპტისთვის. ასევე პირიქით.

2.3. ბინარული კონცეპტის "თავისუფლება"/ "ნება" სემანტიკური შინაარსი და ენობრივი გაფორმება ქართულ ენაში

ქართულ ენაში არსებობს ორი ენობრივი ერთეული: „თავისუფლება“ და „ნება“. კონცეპტი "თავისუფლება" ფართო მნიშვნელობას შეიცავს, ეს არის სიტყვის, პრესის, რელიგიის, პიროვნების, ინფორმაციის, აზრის, სინდისის, ხალხის, დემონსტრაციის თავისუფლება; სამოქალაქო თავისუფლება, პირადი თავისუფლება; პიროვნების, საზოგადოების თავისუფლება. ქართული კონცეპტი "ნება" ითარგმნება როგორც პიროვნული თავისუფლება: ის, რაც არ შეიძლება წაერთვას ადამიანს (საქართველოს ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკა).

კონცეპტის "თავისუფლება" ლექსიკურ შინაარსში გამოიყოფა პირადი თავისუფლება, რომლის მნიშვნელობას ატარებს აგრეთვე კონცეპტი "ნება", ისევე როგორც სამოქალაქო თავისუფლება - თავისუფლება საკუთარი უფლებებისა და შესაძლებლობების განხორციელებაში. კონცეპტები "თავისუფლება" და "ნება" მნიშვნელობით მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ "ნება" ასოცირდება პიროვნებასთან - ეს არის პირადი უფლება, შესაძლებლობა. მსგავსი სემანტიკა ამ კონცეპტს უკავშირებს რუსულ კონცეპტს "ნება" (რუს. „воля“), რომელიც ასევე გამოხატავს თავისუფლების პირად ასპექტს, მაგრამ განსხვავდება უკრაინული კონცეპტისგან "ნება", რომელიც დომინირებს უკრაინელების ეროვნულ ცნობიერებაში "თავისუფლების" ცნებებთან. მაგრამ, ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ რუსული კონცეპტი „ნება“ მეტყველებაში გამოყენების თვალსაზრისით არც ისე ჰგავს ქართულს. რუსული ლექსემა „ნება“ უფრო მეტად იძენს არქაულ ხასიათს და გადადის მოძველებული ერთეულების კატეგორიაში, რომლებიც საბოლოოდ შეიძლება გაქრეს ცოცხალი მეტყველებიდან. კონცეპტის ეს მახასიათებელი გამორჩეულია რუსულ კონცეპტუალურ სისტემაში და არ შეიმჩნევა უკრაინულ ან ქართულ ენებში.

XIX - XX საუკუნეების ქართველი პოეტების შემოქმედებაში ვლინდება კონცეპტი "თავისუფლება" შემდეგი მნიშვნელობებით: მჭიდრო კავშირი სამშობლოსთან (საქართველოსთან), ქვეყნის სიყვარული; პერიოდულად მიმდინარეობს ბრძოლა თავისუფლებისთვის, რასაც ქართველი ხალხი ასე ადვილად ვერ აღწევდა. „ბრძოლის“, „განთავისუფლების" ასპექტი არსებითი მნიშვნელობით

ავსებს "თავისუფლების" კონცეპტს - ეს არის ქართველი ერის განვითარების ისტორიული გზა, მისი ისტორია, დაჩაგრულის უფლება (შესაბამისად კიდევ უფრო სასურველი და ღირებული); ქართველი ხალხის თავისუფლების სიყვარულის სიმბოლო; თითოეულ ქართველს აქვს "თავისუფლების" კონცეპტი, როგორც განუყოფელი ნაწილი მისი სულიერი სამყარო; მარადიული თავისუფლება - ისევე როგორც რწმენა, ხალხი, სამშობლო.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კონცეპტის "თავისუფლება" ანალოგიური სემანტიკა აახლოებს უკრაინის "ნების" კონცეპტთან. ეს მსგავსება აიხსნება უკრაინელი და ქართველი ხალხების ისტორიული ბედის მსგავსებით (ტერიტორიების ხშირი ოკუპაცია, რუსეთის იმპერიის კონტროლი, საბჭოთა პერიოდის რეალობა). ასეთმა საერთო ისტორიულმა რეალობებმა გავლენა მოახდინა კონცეპტების მნიშვნელობის მსგავსებაზე, რაც ნიშნავს, რომ ქართველი და უკრაინელი ხალხის სამყაროს კონცეპტუალური სურათში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ საერთო მახასიათებლები - ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლა, თავიანთი ქვეყნების თავისუფლებისათვის ბრძოლა. ასევე საერთოა განსაკუთრებულად ღირებული დამოკიდებულება თავისუფლების მიმართ, მისი მოპოვების რთული გზის გამო. როგორც უკრაინელი, ისე ქართველი ხალხი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისუფლების სიყვარულით, რაც აისახება „თავისუფლების“ კონცეპტის გაგებაში და მიუთითებს მის მნიშვნელოვან როლზე სამყაროს ენობრივ სურათში.

თავი III "ენის" კონცეპტის შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი უკრაინული, რუსული და ქართული ლინგვოკულტურებში

3.1. ენობრივი ერთეულების სემანტიკური მახასიათებლების ანალიზი, რომლებიც წარმოადგენენ კონცეპტს „ენა“ უკრაინულ ლინგვოკულტურაში

კონცეპტი „ენა“ ერთ-ერთი ძირითადი კონცეპტია უკრაინელი, ქართველი და რუსი ხალხის სამყაროს კონცეპტუალურ სურათში.

უკრაინელი ხალხისთვის თავიანთი ენისადმი დამოკიდებულების საკითხი ძალიან მტკივნეულია, რადგან საუკუნეების განმავლობაში უკრაინელები იბრძვიან

არა მხოლოდ თავისუფლების, ეროვნული აღიარების, სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობისთვის, არამედ მთლიანად უკრაინული ენის განვითარებისა და შენარჩუნებისათვის.

უკრაინულ ენაში კონცეპტი ენა წარმოდგენილია ლექსებით "мова". პარემიოლოგიური ფონდის, უკრაინელი პოეტებისა და მწერლების თხზულებათა ანალიზის შედეგად განისაზღვრა "мова" ცნების ძირითადი სემანტიკური მახასიათებლები სამყაროს უკრაინულ ენობრივ სურათში. ასეთ ნიშნებს შორის აღსანიშნავია: «*рідна*», «*милозвучна*», «*калинова*», «*солов'їна*», «*материнська*».

ლექსიკოგრაფიული მასალისა და პოეტური შემოქმედების ანალიზმა შესაძლებელი გახადა ლექსების „*рідна*“ ძირითადი მნიშვნელობების დადგენა სამყაროს უკრაინულ ენობრივ სურათში. ესენია: დედის ენა; უკრაინული სიმღერის ენა, იავნანა, კობზარები; ხალხის ენა; ენა როგორც დამიანის განუყოფელი ნაწილი; რომელიც შეიცავს ერის ისტორიას, კულტურას.

გამონათქვამის «*материнська мова*» სემანტიკა ვლინდება შემდეგი მნიშვნელობებით: ენა, ისევე როგორც დედა, ერთადერთია; ენა უნდა გვიყვარდეს დედასავით; ენა - დედის იავნანა (პირველი სიმღერა); ენა ყველაზე ღირებულია; ენა უნდა იყოს დაცული, დაფასებული, როგორც დედა. ჩამოთვლილი მნიშვნელობები შეიძლება ორ ჯგუფად წარმოვიდგინოთ:

დედა - უკრაინა - ხალხის ენა;

დედა - სიმღერა - იავნანა - ენა.

გამოთქმა "*милозвучна мова*" უკავშირდება უკრაინული ენის ფონეტიკურ (ვოკალურ) მახასიათებლებს და მის აღქმას. უკრაინული პოეზია და ხალხური შემოქმედება უკრაინულ ენას ადარებს ბუღბუღლის სიმღერას. ამიტომ ეპითეტთან ერთად «*милозвучна*» ენის კონცეპტის აღწერისას ხშირად გამოიყენება ეპითეტი «*солов'їна*».

გამოთქმა «*калинова мова*» ეთნოკულტურული მეტაფორაა და მას პირდაპირი მნიშვნელობა არ აქვს. ეს გამოთქმა ძალიან მრავალმხრივი და ღრმაა. მისი ახსნა მხოლოდ აღწერილობითია. გარდა ამისა, შეუძლებლად ითვლება ამ ფრაზის მნიშვნელობის სრულად გადმოცემა სხვა ენის საშუალებებით. გამოთქმა «*наша мова – калинова*» მეტყველებს უკრაინული ენის სინაზეზე, ეროვნულ ფასეულობებზე.

კალინა - უბრალო მცენარე არ არის, ეს უკრაინის სიმბოლოა და მისი სიმბოლური მნიშვნელობა კარგად გამოიხატება მოყვანილ ფრაზაში.

კონცეპტის "ენის" შემდგომმა ანალიზმა რუსულ ლინგვოკულტურაში აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავებები კონცეპტების სემანტიკაში.

3.2. კონცეპტი "ენის" სემანტიკური შინაარსი და კონოტაციური მნიშვნელობები რუსულ ლინგვოკულტურაში

რუსულ ენათმეცნიერებაში "ენის" კონცეპტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან მას აქვს ფართე მოცულობის კოგნიტური სტრუქტურა, ღრმა სემანტიკა. სამყაროს რუსულ ენობრივ სურათში კონცეპტი „ენა“ (რუსული «ЯЗЫК») მრავალ სემანტიკურ, კოგნიტურ, ასოციაციურ კავშირს შეიცავს.

მკვლევარ ლ. თავდგირიძის ნაშრომში მითითებულია კონცეპტის "რუსული ენა" («русский язык») შემდეგი ძირითადი მახასიათებლები: «богатый», «красивый», «сложный», «родной», «выразительный», «международный». ჩვენ განსაკუთრებით ხაზს ვუსვამთ მახასიათებლებს «великий», «могучий».

ფრაზა "родной язык" რუსული ლინგვოკულტურული კონცეპტის ბევრი მნიშვნელობას აკავშირებს ერთმანეთთან, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი: მშობლიური - კავშირი სამშობლოსთან; მშობლიური - კავშირი მშობლიურ მიწასთან; მშობლიური - გასაგები ენა; მშობლიური - რომელსაც ბავშვობიდან იცნობს ადამიანი; ძვირფასი, ძლიერი.

ლექსემა "богатый" გადმოსცემს ენის მაღალ ღირებულებას, მის მრავალფეროვნებასა და სიმდიდრეს. «Великий и могучий» არის ეპითეტები, რომლებიც კონცეპტის მახასიათებლების თვალსაზრისით, ეხება როგორც გამომსახველ კომპონენტს, ექსპრესიულობას, ასევე შეფასებითი კატეგორიას. მაგრამ ამავე დროს, მეტყველებაში, მხატვრულ ლიტერატურაში, პუბლიცისტიკასა და სხვა წყაროებში მათი ხშირი გამოყენების გამო, მას შემეცნებითი ხასიათი აქვს, რომელიც კონცეპტის „რუსული ენის“ შეფასების კომპონენტების შემადგენლობაში შედის.

განმარტება "могучий" არის სემანტიკური დიადის "ენა - სახელმწიფო" ურთიერთდაკავშირებული კომპონენტი. სხვადასხვა წყაროში ეს ლექსემა გამოხატავს რუსეთის სახელმწიფოს სიმდიდრესა და სიდიადეს. თავის მხრივ, ენამ, როგორც არა

მარტო ხალხის, არამედ სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილმა, შეიძინა მნიშვნელოვანი სემანტიკური დატვირთვა: "ძლიერი სახელმწიფო - ძლიერი ენა".

რუსული კულტურის პარემიები ავლენენ "ენის", როგორც მეტყველების ორგანოს მნიშვნელობას, რაც დიდ როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში, რასაც ნეგატიური შედეგი მოაქვს (*Худое слово доведёт до дела. За худые слова слетит и голова.*) და რუსეთის ეროვნული მენტალიტეტის საწინააღმდეგო მხარეა, დუმილის პოზიტიური შეფასება (*Где слова редки, там они вес имеют.*)

მიუხედავად მრავალფეროვანი მნიშვნელობისა, რომლითაც ხალხური ხელოვნება ავსებს კონცეპტ "ენის" მნიშვნელობას, აღსანიშნავია, რომ მეტწილად, ანდაზები და გამონათქვამები აერთიანებს ენას სიტყვის ორგანოსთან და არა ეროვნულ იდენტიფიკატორთან. მშობლიური ენის იდენტიფიკაცია, მისი დამტკიცება როგორც ეროვნული, ისტორიულად, საუკუნეების განმავლობაში, რუსული ენა სხვა ენების ზეწოლის გარეშე ვითარდებოდა.

უკრაინული პარემიების ანალიზმა აჩვენა განსხვავებული თვისებები და მახასიათებლები რუსულ კონცეპტთან შეფარდებაში:

- 1) უკრაინულ ენას გამოყოფილი აქვს სიტყვა "ენა, როგორც ორგანო" ცალკე ლექსებით (უკრაინული "язик"). შესაბამისად, სიტყვა "мова"-ს მსგავსი მნიშვნელობა არ აქვს რუსულ ენაში და კონცეპტი "мова" ყველაზე მეტად გაჯერებულია ენის მნიშვნელობით, როგორც კომუნიკაციის საშუალებით, რომელიც გამოხატავს ეროვნულ მენტალიტეტს და კულტურას, ეროვნული იდენტიფიკატორის როლს ასრულებს;
- 2) უკრაინულ პარემიებში ყველაზე ხშირად გხვდება ლექსემა „слово“ (სიტყვა), რომელიც ნიშნავს ენის ძალას, ნაკლები სიხშირე ახასიათებს სიტყვებს "мова" და "язик"; "слово" რუსულ პარემიებში კი დომინირებს მნიშვნელობა "ენა, როგორც მეტყველების ორგანო", და ხშირად გამოიყენება სიტყვა „язык“ და არა „слово“;

ასევე საყურადღებოა, რომ უკრაინული კონცეპტის "мова" და რუსული "язык" ძირითადი მნიშვნელობები განსხვავდება. უკრაინული კონცეპტის "мова" ზოგიერთი აღწერითი ლექსემა ძნელად ითარგმნება (მაგალითად, «милозвучна мова», «калинова

мова») რუსულ ენასთან მიმართებით, მათი მნიშვნელოვანი ეთნოკულტურული კონოტაციის გამო.

3.3 კონცეპტი "ენა" სამყაროს ქართულენოვან სურათში

მხატვრული მემკვიდრეობის, პარემიების, ლექსიკონების ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულ ლინგვოკულტურაში კონცეპტის "ენა" გამომხატველ ენობრივ ერთეულებში ყველაზე ხშირია შემდეგი ლექსემები: «დედაენა», «მშობლიური», «უწმინდესი», «ტკბილი», «უნატიფესი», «უძველესი».

სხვადასხვა ქართული წყაროს ანალიზმა აჩვენა კონცეპტი "ენის" შემდეგი მნიშვნელობები:

მჭიდრო კავშირი წიგნთან - იაკობ გოგებაშვილის "დედაენა";

ენა - რომელიც ბავშვმა მიიღო დედისგან;

ღმერთის მიერ მოცემული ენა, ლოცვის ენა, წმინდა ენა;

სამშობლოს ენა;

ქართველი ხალხის ენა ერთადერთი ეროვნული ენაა, ეროვნული თვითმყოფადობის სიმბოლო;

გულის და სულის ენა;

ტკბილი ენა;

ენა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში გადასცემს კავშირს დიდ შოთა რუსთაველთან.

კონცეპტი "ენის" ("დედაენა") სემანტიკის ზემოთ გაანალიზებული განმარტებებიდან შეგვიძლია გავავლოთ რამდენიმე პარალელი უკრაინულ კონცეპტთან «мова»:

დედასთან კავშირს ("დედაენა" და «*материнська мова*»)- როგორც ქართულ, ისე უკრაინულ ეროვნულ ცნობიერებაში, დიდი როლი აქვს. უკრაინულ და ქართულ საზოგადოებაში არსებობს დედის პატივისცემა, სიყვარული და მზრუნველობა. ცხოვრების ამგვარი რეალობა აისახება კონცეპტუალურ მნიშვნელობებში და აერთიანებს უკრაინელი და ქართველი ხალხების სამყაროს კონცეპტუალურ სურათებს;

ენა სამშობლოსა და ხალხს უკავშირდება - როგორც უკრაინელი ხალხისთვის, ისე ქართველისთვის, მშობლიური ენა ეროვნული თვითიდენტიფიკაციის სიმბოლოა. გარდა ამისა, სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში შეგვიძლია დავაკვირდეთ ანალოგიურ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს, რომლებმაც გავლენა მოახდინეს ქართული და უკრაინული ენების განვითარებაზე - რუსეთის იმპერიის პოლიტიკა კრძალავდა მშობლიურ ენას, საბჭოთა პოლიტიკა კი ავიწროებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ენობრივ ცნობიერებაში კონცეპტი „ენა“ («язык») ივსება სრულიად განსხვავებული მნიშვნელობებით. ამავე დროს, ქართული და უკრაინული ენების სამყაროს კონცეპტუალური სურათები, რომლებიც ჩამოყალიბდა მსგავსი კულტურული, სოციალური, პოლიტიკური პროცესების გავლენით, შეიცავს ბევრ საერთო მახასიათებელს, რომლებიც ახასიათებს ქართულ და უკრაინულ კონცეპტებს. ამ მსგავსებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან მათ მრავალი სხვა კონცეპტუალური მნიშვნელობის ახსნა შეუძლიათ და სასარგებლო იქნება სამეცნიერო ან მთარგმნელობით საქმიანობაში.

დასკვნა

ცნებებისა და მსოფლიოს ენობრივი სურათის შესწავლა მნიშვნელოვანია იმის გააზრებისთვის, თუ როგორ შეიცნობს ადამიანი კონკრეტულ საზოგადოებაში სამყაროს. კონოტაციური მნიშვნელობის ფორმირება, ენობრივი ერთეულების სემანტიკა, ენობრივი პროცესის წარმოშობა კონცეპტუალურ საფუძველს ემყარება.

თითოეული კულტურის უნიკალურობა აისახება ეროვნულ ენაში. კულტურული თვისებების გამოვლინება ხდება ენობრივი ერთეულების სემანტიკურ მნიშვნელობებში. ენობრივი ერთეულების სემანტიკური მნიშვნელობები, რომლებიც ცალკეულ კონცეპტში განასახიერებს კონცეპტუალურ მნიშვნელობას, ფორმირდება კულტურული ნორმების, ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების, ცხოვრების წესის გავლენით. გარდა ამისა, კონცეპტების მნიშვნელობის ფორმირებაზე გავლენას ახდენს ყოველდღიური ცნობიერება და, ზოგადად, სოციალური, პოლიტიკური და სხვა პროცესები.

ბინარული კონცეპტის „თავისუფლება“ / „ნება“ და კონცეპტი „ენა“ მონათესავე უკრაინული და რუსულ ენების და არანათესაური უკრაინული და ქართული ენების შედარებით-შეპირისპირებითა ანალიზმა საინტერესო შედეგი გამოავლინა.

უკრაინული და რუსული ენები მჭიდრო კავშირშია, რადგან მათ აქვთ საერთო ძირი და მიეკუთვნებიან აღმოსავლეთ სლავური ენების ერთ ჯგუფს. ლექსიკური და გრამატიკული სტრუქტურის მსგავსების მიუხედავად, ეთნოკულტურული კონცეპტების განმარტებით, ენობრივი ერთეულების სემანტიკის შესწავლისას, მნიშვნელოვანი განსხვავება აღმოჩნდა, რომელიც ჩამოყალიბდა უკრაინელი და რუსი ხალხის სხვადასხვა კულტურული მახასიათებლებისა და ეროვნული მენტალიტეტის გამო.

ქართული ენა, და კულტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება რუსული და უკრაინული ენისა და კულტურისაგან. ამავე დროს, უკრაინელი და ქართველი ხალხი ემორჩილებოდა მსგავს შეზღუდვებს - იყო ერთი და იმავე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ნაწილი და, შესაბამისად, ორივე ერი ერთნაირად იჩაგრებოდა.

